ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 120

ქალაქი ქუთაისი 31 ოქტომბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომისიის ინფორმაცია გაწეული მუშაობის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ინფორმაცია მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის თაობაზე.

(საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის ინფორმაცია გაწეული მუშაობის თაობაზე
წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის 31 ოქტომბრის
№ 120 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომისიის ინფორმაცია გაწეული მუშაობის
შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საკრებულოს რეგლამენტით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

კომისია შედგება 7 წევრისაგან.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია აქტიურად ჩაერთო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2018 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ ყველა სამუშაო შეხვედრაში, ყველა სამსახურთან მიიღო მონაწილეობა პარამეტრების შეთანხმების პროცესში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ინტენსიური მუშაობა გასწია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

მიმდინარე წელს კომისიამ ჩვიდმეტი სხდომა ჩაატარა. განიხილა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა 22 პროგრამა, რომლებიც ითვალისწინებს ქალაქის მოსახლეობის ყოფითი და ყოველდღიური პრობლემების შემსუბუქებას, ეს პროგრამებია:

1. სამედიცინო დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 650,0 ათასი ლარია.

პროგრამა ითვალისწინებს მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული გადახდისუუნარო პირების სამედიცინო მომსახურებას, დიაგნოსტიკისა და შემდგომი მკურნალობის ხარჯის (თანადაფინანსების პრინციპით) ანაზღაურების თვალსაზრისით.

2. მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 235,0 ათასი ლარია.

65000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისათვის დახმარება შეადგენდა წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 130 ლარს.

ჰემოდიალიზზე მყოფი თითოეული პირის დახმარება, თვეში 100 ლარის ღირებულების მედიკამენტებით არის განსაზღვრული.

3. ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 60,0 ათასი ლარია.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ანტიკონვულსანტებით დახმარება ეწევათ ეპილეფსიით დაავადებულ პირებს. დახმარების მოცულობა 0-18 წლამდე ასაკის პირებისათვის 40 ლარს, ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის პირებისათვის 30 ლარს შეადგენს.

4. ლეიკოზიით და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 22,0 ათასი ლარია.

პროგრამის ფარგლებში 0-18 წლამდე ასაკის ლეიკოზიით დაავადებულ 17 პირს გაეწია მატერიალური დახმარება, თითოეულს თვეში 100 ლარის ოდენობით.

5. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 6,0 ათასი ლარია.

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით დაავადებული პირების დახმარებას თვეში 100 ლარის ოდენობით.

6. სარიტუალო დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 70000 ლარია.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის ანაზღაურება, ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით.

7. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 820,0 ათასი ლარია.

პროგრამის ფარგლებში, დახმარებით სარგებლობენ მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის მატერიალური დახმარება თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე შეადგენს თვეში 40 ლარს, სხვა დანარჩენ შემთხვევაში – 30 ლარს.

სულ დახმარება გაეწია 506 ოჯახის არასრულწლოვან ბავშვს. თანხა: 167010 ლარი.

17 მრავალშვილიან ოჯახს, მეოთხე და შემდეგი შვილის შეძენაზე გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება (4 შვილის შეძენა – 12 შემთხვევა, 12000 ლარი; 5 შვილის შეძენა – 3 შემთხვევა, 3300 ლარი; 6 შვილის შეძენა – 1 შემთხვევა, 1200 ლარი; 8 შვილის შეძენა – 1 შემთხვევა, 1400 ლარი).

დახარჯულია 17 900 ლარი.

154 მრავალშვილიან ოჯახს, რომლებსაც 5 და მეტი შვილი ჰყავთ, გაეწიათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება. დახარჯულია 90000 ლარი (5 შვილის შეძენის შემთხვევაში დახმარება შეადგენს – 500 ლარს, 6 – 7 – 8 შვილის შეძენის შემთხვევაში – 700 ლარს, 9 და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში – 1000 ლარს).

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) მრავალშვილიანი ოჯახების (რომელთაც ჰყავთ 5 და მეტი სრულწლოვანი შვილი) ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული სრულწლოვანი პირის პროფესიულ სასწავლებლებში მოკლევადიანი სწავლების კურსის დაფინანსებას.

8. შინ მოვლის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 20,0 ათასი ლარია.

საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასსა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2015 წლიდან ხორციელდება „შინ მოვლის“ პროგრამა.

9. უფასო მგზავრობის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 210,0 ათასი ლარია.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარების საქალაქო ტრანსპორტით (ავტობუსით) უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა.

10. სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 16,0 ათასი ლარია.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდა სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ხარჯი.

საანგარიშო პერიოდში, სოციალურ საცხოვრისში ცხოვრობს 13 ოჯახი.

11. სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 200,0 ათასი ლარია.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, 70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების თანადაფინანსებას, სულადობის მიხედვით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას (დენი: 1 და 2 წევრიანი ოჯახებისათვის – 48 ლარი; 3 – 4 – 5 წევრიანი ოჯახებისათვის – 72 ლარი; 6 – 7 წევრიანი ოჯახებისათვის – 96 ლარი; 8 და მეტ წევრიანი ოჯახებისათვის 120 ლარი. დასუფთავება: ოჯახის თითოეულ წევრზე 0,50 ლარი).

მ/წლის იანვარში დახმარებით ისარგებლა 2639 ოჯახმა, საჭირო თანხამ შეადგინა 13344 ლარი.

მ/წლის თებერვალში დახმარებით ისარგებლა 2659 ოჯახმა, საჭირო თანხამ შეადგინა 13444 ლარი.

მ/წლის მარტში დახმარებით ისარგებლა 2645 ოჯახმა, საჭირო თანხამ შეადგინა 13352 ლარი.

12. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 150,0 ათასი ლარია.

პროგრამის ფარგლებში, მატერიალური დახმარებით სარგებლობს:

ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) 18 წლის 1 ბენეფიციარი, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ და სრულწლოვანების გამო შეუწყდა სახელმწიფოს მხრიდან მომსახურება. დახმარებამ შეადგინა 200 ლარი.

12 ბიოლოგიური ოჯახის 15 რეინტეგრირებული ბავშვი. დახმარებამ შეადგინა 9000 ლარი.

ჰემოდიალიზზე მყოფი 105 პირი, მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, დახმარებით სარგებლობენ, თვეში 100 ლარის ოდენობით. საჭირო თანხამ შეადგინა 31400 ლარი.

13. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 25,0 ათასი ლარია.

დახმარებით ისარგებლა სახელმწიფო პროგრამებით – „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 65-მა ბავშვმა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა თვეში 40 ლარის ღირებულების ჰიგიენური საფენების („პამპერსი“) და სველი სალფეთქების შეძენა.

14. სოციალური ღონისძიებების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 288,0 ათასი ლარია.

პროგრამა ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის, ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობას. კერძოდ:

1 იანვარს დაბადებული 3 ახალშობილის მშობელს გაეწია დახმარება, თითოეულს ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით. დაიხარჯა – 4500 ლარი.

15 თებერვალს, ავღანეთის ომის ვეტერანებს (38 ბენეფიციარი) გაეწიათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება, თითოეულს, 150 ლარის ოდენობით, დაიხარჯა 5700 ლარი.

15. კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 23,5 ათასი ლარია.

პროგრამა ითვალისწინებს, აბსოლუტური სიყრუის მქონე და ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაკეთებული ოპერაციის შემდგომ, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები 0–18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

16. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 125,0 ათასი ლარია.

პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ/მცხოვრებ 2-15 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა ძირითადი დიაგნოზია ICD-10 კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0 – F84.9).

პროგრამის ფარგლებში, ანაზღაურდება სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების (ორი ორგანიზაცია) მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 43 ბავშვისათვის გაწეული მომსახურება.

17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 10,0 ათასი ლარია.

პროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებსა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 5 ორგანიზაციისათვის თანადაფინანსების პრინციპით, კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) ანაზღაურება.

18. შშმ პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 25,0 ათასი ლარია.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადა კონკურსი. გაიმარჯვა ორმა პროექტმა და მიმდინარეობს მუშაობა მათი განხორციელებისათვის.

19. მარტოხელა მშობელთა დამარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 12,0 ათასი ლარია.

პროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში მცხოვრები (რეგისტრირებული) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელქტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება 30 ლარის ოდენობით.

20. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 12,0 ათასი ლარია.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) მყოფი პირის/ოჯახის თავშესაფრის დატოვების შემდეგ ფინანსური დახმარება.

21. საქართველოს „SOS“ ბავშვთა სოფლის მიერ განხორციელებული პროექტის – „დღის ცენტრის“ ბენეფიციარების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 27,5 ათასი ლარია.

საქართველოს „SOS“ ბავშვთა სოფლის მიერ განხორციელებული პროექტის – „დღის ცენტრის“ ბენეფიციარების დახმარების პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12–დან 36 თვემდე 20 ბავშვის დღის ცენტრში კვება და ჰიგიენური საშუალებებით მომსახურება.

22. შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი 8,4 ათასი ლარია.

პროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 2 სტუდენტის სმენის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტების შეძენა, თვეში 95 ლარის ოდენობით. ანაზღაურებას ექვემდებარება 475 ლარი.

კომისიამ აგრეთვე, განიხილა ჩერნობილის ელექტრო სადგურის აფეთქების დროს მყოფი ქუთაისში რეგისტრირებული მოქალაქეების პირადი საბუთები და მათი სრული სიის მისაღებად, თხოვნით მიმართა ქალაქ ქუთაისში მოქმედ ყველა პოლიკლინიკას, რადგან მოხდა პოლიკლინიკებიდან მიღებულ სიებში გარდაცვლილი პირების არსებობა და რამდენიმე მონაწილე პირი არ იყო სიაში, კომისია ისევ შეიკრიბა და თხოვნით მიმართა უკრაინის საელჩოს სრული სიის მისაღებად.

განხილულ იქნა მიუსაფარ ძაღლთა თავშესაფრისა და მათი ვაქცინაციის საკითხი.

მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოების ანგარიში.

განხილულ იქნა მრავალშვილიანი ოჯახების სრულწლოვანი შვილების რაოდენობა. კომისიის რეკომენდაციით, მრავალშვილიანი ოჯახების სრულწლოვან შვილებს მიეცათ საშუალება დაეუფლონ მათ მიერ არჩეულ სპეციალობას პროფესიულ სასწავლებლებში.

მოსმენილ იქნა სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის ხელმძღვანელის ინფორმაცია სოციალური ქულების მინიჭების კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

კომისიის სხდომაზე მოწვეულ იქნა სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი, ქალბატონი ფიქრია ჭლიკაძე და მოსმენილ იქნა ინფორმაცია დღეის მდგომარეობით, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ კვების ობიექტებში, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში. კომისია გაეცნო სააგენტოს საქმიანობის ანგარიშს და დაგეგმილი ღონისძიებების მიმოხილვას.

კომისიის სხდომაზე მოწვეული იყო ააიპ ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის დირექტორი, ქალბატონი მაია ნადარეიშვილი, მოსმენილ იქნა ინფორმაცია დღევანდელი მდგომარეობით, სალონებში არსებული ჰიგიენურ-სანიტარული მდგომარეობის თაობაზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სპორტულ სკოლებში არსებული სამედიცინო ოთახების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მოსმენას, კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი რეკომენდაციას სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რათა, სამუშაო ჯგუფმა მოახდინოს საჭირო მედიკამენტების სიის სტანდარტების შემუშავება.

მოსმენილ იქნა ააიპ ბაგა-ბაღებში არსებული სამედიცინო ოთახების მდგომარეობის შესახებ ანგარიში. შემუშავდა ისეთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, როგორიცაა: წელიწადში ერთხელ, ბაგა-ბაღების გაერთიანებაში დასაქმებული ექთნების პროფესიული გადამზადება, შესაბამისი ექიმის რეცეპტის გარეშე, მშობლის მიერ ბაღში მიტანილი მედიკამენტების ბავშვზე გაცემის აკრძალვა, ექიმის მიერ გაცემული ფორმა №100-ის მკაცრად შემოწმება.

კომისიის მიერ შესწავლილ იქნა 150-ზე მეტი მოქალაქის განცხადება. კომისიის რეკომენდაციით 70-ზე მეტ მოქალაქეს გაეწია მატერიალური დახმარება, უმრავლეს მათგანს კი, სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარება, მოქალაქეთა ნაწილს ეთქვა მოტივირებული უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

კომისია მომავალში კვლავ გააგრძელებს საქმიანობას ქალაქის მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიმართულებით.

შენიშვნა: წინამდებარე ინფორმაცია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-13 სხდომაზე, მ/წლის 31 ოქტომბერს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მამუკა რიჟამაძის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია